ის, რასაც შენ ამბობ და რისკენაც მოგვიწოდებ კარგია. თუმცა, შეგიძლია გვაუწყო, არის თუ არა ჩვენი ჩადენილი ცოდვებისათვის გამოსასყიდი

გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): ისინი, ვინც მრავალღმერთიანობას ეწეოდნენ, უამრავ ადამიანს კლავდნენ და ბევრ ცოდვას სჩადიოდნენ, ასევე მრუშობას ჩადიოდნენ, მივიდნენ მუჰამმადთან ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას და უთხრეს: «ის, რასაც შენ ამბობ და რისკენაც მოგვიწოდებ კარგია. თუმცა, შეგიძლია გვაუწყო, არის თუ არა ჩვენი ჩადენილი ცოდვებისათვის გამოსასყიდი?» ამის შემდეგ გარდმოვიდა აიათი: { და ისინი, ვინც ალლაჰთან ერთად სხვა ღმერთებს არ მოუხმობენ, და არ კლავენ იმ სიცოცხლეს, რაც ალლაჰმა აკრძალა, თუ არა სამართლიანობის გამო, და არ მრუშობენ.} [ალ-ფურყაან: 68] ასევე გარდმოვიდა აიათი: {უთხარი: ჰეი, ჩემო მსახურნო, რომლებმაც საკუთარ თავებზე გადამეტებული ცოდვები ჩაიდინეთ, ნუ დაკარგავთ ალლაჰის წყალობის იმედს.} [აზ-ზუმარ: 53].
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მრავალღმერთიანებიდან რამდენიმე კაცი მივიდა მოციქულ მუჰამმადთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). ისინი ბევრ ადამიანს კლავდნენ და მრუშობდნენ. მათ მოციქულს უთხრეს: "ის, რისკენაც მოგვიწოდებ, ისლამი და მისი სწავლებები, ნამდვილად კარგია. მაგრამ რა იქნება ჩვენი მდგომარეობა იმ მრავალღმერთიანობისა და დიდი ცოდვების გამო, რაც ჩავიდინეთ? არის თუ არა მათთვის გამოსასყიდი? ამის შემდეგ გარდმოვიდა ორი აიათი, რომლებშიც ალლაჰმა მიიღო ადამიანების მონანიება, მიუხედავად მათი მრავალი და მძიმე ცოდვისა. ალლაჰს რომ არ მიეღო მათი მონანიება, ისინი დარჩებოდნენ თავიანთ ურწმუნოებასა და ამპარტავნებაში და ისლამში არ შევიდოდნენ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65071